


ახალი თაობა



30 აპრილიდან!
„ახალი თაობა“
+
ალექსანდრა მაკალონელი
8 ლარი



ორშაბათი, 9 სექტემბერი, 2013

№213 (6214)

ფასი: 30 თეთრი

„სინაზური დიდი არეულობა იგეგმება“ **გვ.6**

სუბარი თანამდებობებზე მერაბიშვილისა და ადგიშვილის კადრებს ნიშნავს



რაჭოვ ტოპეზს **გვ.5**
ხალსი „ქართულ
ოცნებას“

ნაციონალები არჩევნების წინ კომპრომატების გამოქვეყნებას აპირებენ

ნანა კაკაბაძე:
„განადგურებული
ფირების ასლები
ნებისმიერ დროს
შეიძლება **გვ.3**
გამოქვეყნდეს“



ვინ იყო დაინტერესებული სკანდალური დოკუმენტაციის განადგურებით



გვ.2
ილია II: „აღაიანის
ბედს უფალი
განაგებს, შემდეგ კი
თავად აღაიანი“



გვ.4
სალომე ზურაბიშვილმა
სარჩელის სააკელასიო
სასამართლოში შეტანა
ვერ შეძლო



თემურ ზურვანიძე:
„სალომე ზურაბიშვილს
ნასიონალები და
მეოცნებეები
ერთობლივად
ბლოკავენ“

მირიან ჯალალონია:
„აფხაზებმა და
ქართველებმა
ერთმანეთს ბოლიში
უნდა მოვუხალოთ!“



გვ.7
ბადრი პატარკაციანი
ოჯახი №106 ლიხენიის
„იბერი-გვ“-სათვის
გადასახმად მზად არის
გვ.2



თია გვ.23
წულუკიანი:
„განკითხვის
ქამი ყველას
დაუდგება“



გია მაისაშვილი:
„ვადავლი **გვ.2**
საპარლამენტო
არჩევნების ჩატარება
აუცილებელია“



6 **დავით კუპრაიშვილი:**
„ნასიონალებმა
ეროვნულ-
გამათავისუფლებელი
მოძრაობა
დაასამარეს“

4 **თბილისის ტყე-**
პარკები ხეების
გაჩენა თბილისის
საქართველოსთან
გაპრობუნებს

7 **სრუ შეფუთვების**
ბრალდებით ერთი
პირი დააკავეს

4 **ოქტომბრის**
ბოლოს
საპარტოვლოს,
შესაქლოა,
პელა ენვიონს



ბია მაისაშვილი: „ვადავლი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება აუცილებელია“

მთავრობის არაკომპეტენტურობაზე პასუხს პრემიერი აგებს

ნათია სურცილავა

ინტერვიუ ეკონომიკის მინისტრ ბია მაისაშვილთან

— ბატონო ბია, როგორ შეაფასებთ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს? რას იტყვით წინასწარჩვენო კამპანიაზე, რომელიც საპრეზიდენტო კანდიდატებს აქვთ?

— დღევანდელი სიტუაცია იწვევს ბრეჟნევის დროინდელი სტაგნაციის განცდას. ამას ვამბობ იმიტომ, რომ ეკონომიკაში აქტიურობა მცირდება. განათლების სისტემა პარალიზებულია. ამ ფონზე ვხედავ, რომ არ არის არანაირი მცდელობა მთავარი ამოცანის დასახვისა და შემდეგ მისი შესრულებისა. ეს ყველაზე დიდი უბედურებაა. ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, რომ ამ სტაგნაციის პირობებში გამოიკვეთოს არაემოციებზე დაფუძნებული პარლამენტი, რომელიც საზოგადოების ყველა ინტერესის წარმომადგენელი იქნება. ეს იქნება ნამდვილი სახე ჩვენი საზოგადოების.

— ამას ამბობთ იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობა 40 პროცენტი კი არ შეიდეგს პარლამენტში, არამედ, როგორც საზოგადოების ნაწილი ამბობს, რეალური პროცენტი?

— არა, არაფერ შუაშია ნაციონალური მოძრაობა. საუბარია იმ პარლამენტზე, რომელიც ქვეყნის რეალურ სურათს უნდა გამოხატავდეს. რაც ეს სურათი გამოიკვეთება, შემდეგ უნდა მოხდეს ლიდერება და საზოგადოებას შორის ურთიერთობა. საჭიროა როგორც კარგი ლიდერი, ასევე კარგი საზოგადოება. მოთხოვნა არის არა მხოლოდ კარგი ლიდერზე, არამედ საზოგადოებაზე. ვისაც ამ ორი მნიშვნელოვანი კომპონენტის კომბინაცია აქვს, მას შეუძლია, თანამედროვე ერაღე ჩამოყალიბდეს. საქართველოში, ამ რთულ გეოპოლიტიკურ არეალში, პატარა ერს ვინ დააბრუნებს სტაგნაციაში. ჩვენი ნაციონალური გადარჩენის საკითხი დადგება. როდესაც ქვეყანა სტაგნაციაშია, ის ამ სივრცეს ველარ დაიკავებს.

— თქვენ რას იტყვით, ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც ამ ხელისუფლების წინაშე დგას, რა არის?

— ყველაზე დიდი პრობლემა ამ ხელისუფლების წინაშე არის ჩართული დრო. დროის ფაქტორი, რომ ამ ხელისუფლებას დარჩა ძალიან ცოტა დრო, რომ ქვეყანაში სიტუაცია შემობრუნდეს. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ ვერც ერთი ხელისუფლება ვერ დაურიგებს ცხელ-ცხელ დევნებებს, ვერც ფულს დაურიგებს. ხელისუფლებამ უნდა დააყენოს მთავარი ამოცანა და შემდეგ ამ ამოცანის გადაჭრის გზები უნდა შესთავაზოს საზოგადოებას. შესაძლებლობების გარეშე



უნდა შექმნას და პირველი ნაბიჯები გადადგას სახელმწიფო ინვესტიციების თვალსაზრისით. ამას მოჰყვება უცხოეთში მყოფი ქართველების ინვესტირება, ადგილობრივი მოსახლეობისა და უცხო კაპიტალის შემოდინება. ამ ეტაპების გაწევის შედეგად დაიწყება ეკონომიკური ბუმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გვექმნება სტაგნაციური რეალობა. ასე მოხდა ყველგან და ასე უნდა მოხდეს აქაც.

— თქვენი შეფასებით, როგორი ეკონომიკური მდგომარეობაა ამ ეტაპზე?

— ინვესტიციის თვალსაზრისით კაპიტალ-გადაწყვეტილებები არ ხდება, როდესაც ინვესტიცია არ შემოდის, ეკონომიკა არ იზრდება. ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია სამ ფაქტორზე: პირველი — ინვესტიცია, მეორე — პროდუქტიულობა, მესამე — ინოვაცია. ამ სამიდან არც ერთი ფაქტორი არ მუშაობს. იმისთვის, რომ ეკონომიკური ზრდა დაიწყოს, ამ სამი ფაქტორის უზრუნველყოფაა საჭირო. ამის განხორციელება კი ხელისუფლების პირდაპირი მოვალეობაა.

— კონკრეტულ მინისტრებს, ხელმძღვანელებს გამოყოფთ, მავალითად, ეკონომიკის, ფინანსთა მინისტრებს?

— არა, როდესაც მთავრობის არაკომპეტენტურობაზე ვსაუბრობ, მე არ გამოყოფ ცალკეულ პიროვნებებს. მე ვსაუბრობ ერთიან გუნდზე. მთავარი პასუხისმგებლობა პირველ პირს, ბიძინა ივანიშვილს ეკისრება. მე გახლავართ ბიძინა ივანიშვილის ამომრჩეველი, მაგრამ, როგორც ბევრ ქართველში, ჩემშიც არის იმედგაცრუება.

— კონკრეტულად რა იმედები გაგიცრუა?

— ის, რომ მან ვერ გამოიყენა ის უზარმაზარი შესაძლებლობა, რაც მან თავად შექმნა პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ. მან შეძლო ერის მობილიზება, მაგრამ ვერ შეძლო იმ დადებითი ემოციისა და გამარჯვების მუხტის გამოყენება, რომელიც რეალურად იყო. მისი კაპიტალიზაცია უნდა მომხდარიყო სწორი მიმართულებით. ჩემი აზრით, მიზანი არ დაცა.

— შეგიძლიათ, გვითხროთ, რა მიზანი?

— რასაკვირველია. ჩემი აზრით, ორი უმთავრესი მიზანი უნდა ყოფილიყო: პირველი, ეკონომიკის ეხება, საქართველოს ათი წლის განმავლობაში უნდა შეძლებოდა ეროვნული შემოსავლის ერთ სულ მოსახლეზე ხუთჯერ გაზრდა, რაც ჩაგვადგენდა აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების რიგში.

— რამდენად იყო ამის შესაძლებლობა რეალურად?

— რასაკვირველია, იყო. მართალია, ეს რთული ამოცანაა, მაგრამ რთული ამოცანის გადაწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ამოცანა მკაფიოა და ამ ამოცანის ირგვლივ ხდება საზოგადოების მობილიზება, თუმცა ამას დიდი და კვალიფიციური მთავრობა ახერხებს. უნდა გითხროთ, რომ მოლოდინი მქონდა, რომ ამას შეძლებდა ეს მთავრობა. მეორე ეტაპი განათლების სფეროს. ჩვენ ახალ ეპოქაში ვართ და სხვა ტიპის სამუშაო ადგილები გვჭირდება, რომელიც პირდაპირ კავშირშია განათლების სფეროსთან. ამისთვის კი სრული გადაიარაღებაა საჭირო ჩვენი ჩვეულების, კომპეტენციებისა და უნარების. მასობრივი გადაზიდვა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. ეს კი ეკონომიკის შემოტრიალებასა და ბუმს გამოიწვევს. ქვეყანაში პრობლემის გადაჭრა ხდება პოლიტიკის მეშვეობით. ერთადერთი მექანიზმი თანამედროვე სამყაროში პრობლემის მოგვარების პოლიტიკაა.

— ამ ფონზე, რას იტყვით ივანიშვილის გადაწყვეტილებაზე პოლიტიკიდან წასვლის შესახებ და სამოქალაქო სექტორის გაძლიერებაზე?

— ეს უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებაა. სამუშაოა, როდესაც ჩემ მიერ ასე ემოციით მხარდაჭერილი პიროვნება აკეთებს სრულიად არაკომპეტენტურ განცხადებას.

— ახალი სტანდარტის დამკვიდრებაზე გააკეთეს აქცენტი. სომ უჭირთ ქართველ ლიდერებს წასვლა...

— წასვლა უჭირთ, მაგრამ, როდესაც მანდატს გაძლევენ გარკვეული ვადით, რომ შედეგი დადო და ამ პასუხისმგებლობაზე უარის თქმა უპასუხისმგებლობაა. ახლა საზოგადოების როლი უნდა დადგეს. ბიძინა ივანიშვილი მართლაც კარგი ადამიანი, რბილი და განონასწორებელი პიროვნებაა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მართლ სითბო და კარგი განზრახვები არ არის საკმარისი. საჭიროა კომპეტენცია.

ილია II: „ადამიანის ბედს უფალი განაგებს, შეიძლება კი თავად ადამიანი“

შეიძლება კი თავად ადამიანი

ადამიანის ბედს, უპირველეს ყოვლისა, განაგებს უფალი. შეიძლება კი თავად ადამიანი. — ამის შესახებ გუშინდელ საკვირაო ქადაგებაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთათბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ბრძანა.



წირვის დასრულების შემდეგ მან ადამიანის ბედზე და იმის შესახებ იქადაგა, თუ როგორ შეუძლია ადამიანს განაგოს თავის ბედი. მისი თქმით, ზოგიერთი ადამიანი ცხოვრობს თავისი კეთილდღეობისთვის. არის ადამიანი, რომელიც აკეთებს მხოლოდ სიკეთეს და თესავს სიყვარულს. არსებობს ადამიანი, რომელიც ცხოვრობს მხოლოდ იმისთვის, რომ ვიღაც განიკითხოს, ბოროტება გაუქვითოს და აწყენინოს.

როგორც მან აღნიშნა, ვერაფერს მიაყენებს ადამიანის ისეთი ზიანი, როგორც მას შეუძლია, რომ თავის თავს მიაყენოს.

„ხშირად ვსვამთ შეკითხვას, თუ რა უნდა გააკეთოს ადამიანი იმისთვის, რომ მას ჰქონდეს კარგი ბედი, მშვიდობიანი ცხოვრება. ამისთვის არსებობს სხვადასხვა საშუალება. უპირველეს ყოვლისა, ადამიანი უნდა იყოს მორწმუნე. უნდა უყვარდეს მოყვასი, ბუნება, ხალხი. ადამიანი უნდა ცხოვრობდეს რაღაც მიზნით, იდეით. ადამიანი, რომელიც მხოლოდ სიყვარულს თესავს, ღმერთი მას ისე დაეხმარება გაჭირვებაში და გამოიყვანს მძიმე მდგომარეობიდან, რომ თვითონაც ვერ გაიგებს“. — ბრძანა უწმინდესმა და აღნიშნა, რომ ადამიანი, რომელიც მხოლოდ ბოროტებას თესავს, მას, რა თქმა უნდა, ცუდი ბედი ექნება.

პატრიარქის თქმით, ადამიანს უნდა ჰქონდეს გული გონიერი, რომ მან არ მოუტანოს ზიანი საკუთარ თავს.

„ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროს, ძნელია გარჩიო, სად არის სიკეთე და ბოროტება, მაგრამ თუ ადამიანი ღმერთთან არის, ის ამის გარჩევას შეძლებს. ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ ღვთის რჩეული ერი ვართ. ასე რომ არ ყოფილიყო, საქართველო არ იქნებოდა ღვთისმშობლის ნილხვედრი ქვეყანა. საქართველო მხოლოდ სიკეთეს თესავს. ის არის რჩეული ღვთისა, ღვთის მამულად და ღვთისმშობლის ნილხვედრი, ამიტომ საქართველოს ბედი არის კეთილი.“ — ბრძანა ილია მეორემ.

ქადაგების დასრულების შემდეგ პატრიარქმა მრევლს სთხოვა, რომ ილოცონ მისი ბედისთვის. ქადაგების დასრულების შემდეგ უწმინდესმა 21 გავრი და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაცია დალოცა. მედიანოხი



ბადრი პაპარკასიშვილის ოჯახი №106 ლისენჯის „იბერია-ბვ“-სათვის გადასახვედ მზად არის

ბადრი პაპარკასიშვილის ოჯახი მზად არის, კეთილი ნების საფუძველზე №106 ლიცენზია „იბერია-ბვ“-ს გადასცეს. ამის შესახებ ბადრი პაპარკასიშვილის ოჯახის მიერ გავრცელებულ განცხადებაში არის ნათქვამი, რომელსაც „მედიანოხის“ უცვლელად გთავაზობთ.

„საზოგადოებისთვის კარგად არის ცნობილი წინა ხელისუფლების დროს ტელეკომპანია „იმედის“ ირგვლივ განვითარებული მოვლენების შესახებ, კერძოდ, იმის თაობაზე, თუ რა პროცესებს ჰქონდა ადგილი და როგორ ცდილობდა იმჟამინდელი ხელისუფლება ტელეკომპანიაზე კონტროლის დაწესებას და მისი აქტივების ხელში ჩაგდებას. ბადრის გარდაცვალების შემდეგ, ჯოზეფ კეისის გამოყენებით, მათ მოახერხეს დადამოუკიდებელი ტელეკომპანია, რომელიც მაღალი საზოგადოებრივი ნდობით სარგებლობდა, ჩააყენეს სახელისუფლებო პროპაგანდის სამსახურში.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ტელეკომპანიის ე.წ. მფლობელები იძულებული გახდნენ, დაებრუნებინათ არხი კანონიერი მესაკუთრისთვის, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მედია-პოლიტიკის აქტივების დიდი ნაწილის დაბრუნება ვერ მოხერხდა, რადგან ის უკვე გახსნილი იყო ან/და მითვისებული იყო იმ პირების მიერ, ვისი მეშვეობითაც ხელისუფლებამ ხელში ჩაიგდო და წლების განმავლობაში აკონტროლებდა ტელეკომპანიას.

გვსურს ასევე საზოგადოებას ვამცნოთ, რომ ტელეკომპანია „იმედის“ დაბრუნების შემდეგ პოლიტიკის საკუთრებაში აღმოჩნდა №106 ლიცენზია, რომელიც როგორც ირკვევა, წარწეულში „იბერია ბვ“-ს საკუთრებას წარმოადგენდა. ამდენად, მოცემულ ვითარებაში გარკვევის შემდეგ, ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ ჯოზეფ კეისის და მისი მხარდამხლებების მიერ, რომელიც ტელეკომპანიაზე კონტროლის დაწესებას და მისი აქტივების ხელში ჩაგდებას, ბადრის გარდაცვალების შემდეგ, ჯოზეფ კეისის გამოყენებით, მათ მოახერხეს დადამოუკიდებელი ტელეკომპანია, რომელიც მაღალი საზოგადოებრივი ნდობით სარგებლობდა, ჩააყენეს სახელისუფლებო პროპაგანდის სამსახურში.

ბიძინა ივანიშვილი ესპონოთის საპარკო საქმეთა მინისტრის შესვლა

ესტონეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილის საგარეო საქმეთა მინისტრის შესვლა და ურმას პაეტის სახელით გამართულ სამუშაო სადღის დაესწრო.

ოფიციალური ინფორმაციით, მხარეებმა ორი ქვეყნის თანამშრომლობისა და საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების საკითხები განიხილეს.

მედიანოხი

კეისის და მისგანაც ელემენტების გამოყენებით, იმჟამინდელი ხელისუფლება პოლიტიკური კომპანიის მეშვეობით აკონტროლებდა „ტელევიდეს“-ს და ანაბდროულად ფლობდა აღნიშნულ ლიცენზიას.

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენთვის უცხო არ არის იმჟამინდელი ხელისუფლებისა და მისი ემისრების ქმედებების ფორმები და ამგვარი ქმედებების შედეგად მიღებული უსამართლობის და განუკითხაობის განცდა, მივიღეთ გადაწყვეტილება და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით, მზად ვართ, კეთილი ნების საფუძველზე, გადავცეთ №106 ლიცენზია „იბერია ბვ“-ს.

და ბოლოს, გვიდა დავარწმუნოთ საზოგადოება და ყველა დაინტერესებული პირი, რომ მიუხედავად იმისა, რაოდენ დიდაა ზიანი, რომელიც ჩვენს ოჯახს მიადგა ძველი ხელისუფლების პირობებში, ჩვენ ვიბრძოდით და თუ ეს აუცილებელი იქნება, მომავალშიც ვიბრძოდით მხოლოდ სამართლიანობისთვის და არასოდეს შევეცდებით სხვისი ქონების ხელში ჩაგდებას. ასევე, გვსურს გვამცნოს, რომ საქართველოში დასრულდა ის დრო, როდესაც ხელისუფლება სხვადასხვა მაქინაციებითა და საყოველთაოდ ცნობილი თაღლითების წახალისებით სხვათა საკუთრების ხელყოფას ახერხებდა“, — აღნიშნულია განცხადებაში.

ახალი თარიღი

განვით გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაჭყალიძე, ზურაბ ბერიძე, სოლო გოგინაშვილი

მთავარი რედაქტორი — სოლო გოგინაშვილი

რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი

რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგვილი

კონსულტანტები: ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი, საენიანო სამსახური — ჯორჯ ბალაგაძე

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55

გავრცელების სამსახური — მერაბ ლევინაშვილი

დირექტორი — ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.

ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91

ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეგულირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე განვით დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



ნანა კაკაბაძე: „განადგურებული ფირკის ასლაკი ნებისმიერ ღრუს შიშლავა გამოქვეყნდა“

ვინ იყო დაინტერესებული სკანდალური დოკუმენტაციის განადგურებით

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ უფლებათა დამცველ ნანა კაკაბაძესთან

ქალბატონო ნანა, თქვენც იმ ადამიანებს შორის იყავით, ვინც ეწინააღმდეგებოდა პირადი ცხოვრების ამსახველი მასალების განადგურებას, თუმცა წინააღმდეგობის და აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, ეს მასალები მაინც განადგურდა... ეს რამდენად სამართლიანი ნაბიჯი იყო?

– ვინმემ დასვა კითხვა, რომელი კანონის საფუძველზე მოხდა ამის განადგურება? სხვა ყველაფერს რომ თავი დაკავებოდა, რა იურიდიული ნორმით მოხდა ამ მტკიცებულებების განადგურება?! ვინ იყო იმ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო, რომელსაც ჰქონდა კანონიერი უფლება, რომ ეს გადაწყვეტილება მიეღო და საერთოდ, ვინ მიიღო ეს გადაწყვეტილება, ჩემთვის გაუგებარია. კანონით, ასეთი არის ორად ორი ორგანო, ერთი არის სასამართლო, რომელსაც ამის უფლება აქვს, თქვას, რომ განადგურდეს და მეორე არის გამოძიება, რომელიც რასაც არ ჩათვლის საჭიროდ, რომ ეს არ არის გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი, გამოაქვს გადაწყვეტილება, რომ განადგურდეს. მესამე ვინ არის, მე არ ვიცი. ჩემზე კარგი პოლიტიკოსები და გეოგრაფი, ბატონო, რომელი კანონის საფუძველზე განადგურდა ეს?! შეიძლება კანონის ასეთი იგნორირებით რა-ღაცების კეთება იმისათვის, რომ ამის უკან რაღაც გარკვეული თუ რაღაც დასაფუძვლიანი ზნეობა იყოს? აგვიხსნან, რის საფუძველზე მოხდა ამის განადგურება. ის კომისია, რომელიც ამ გადაწყვეტილებას დასწავლიდა, თვითონ რას წარმოადგენს, რომ ამ გადაწყვეტილებას დასწავლიდა? რაღაცა სამი-ოთხი ენჯელო შეიკრიბა, ახლა აქეთ რომ შეიკრიბოთ 30 ენჯელო და იმათმა თქვა, არ განადგურდეს? ე.ი. ენჯელების გადაწყვეტილებით უნდა ხდებოდეს ქვეყანაში ახი ასეთი გადაწყვეტილების მიღება, ეს სერიოზულია და ეს ქვეყნის იმიჯისთვის ნორმალურია, როდესაც სამი და ოთხი ადამიანის გადაწყვეტილებით ხდება ამ ფირკის განადგურება? ეს არის დანაშაულის მტკიცებულება და ვიღაცა ანადგურებს დანაშაულის მტკიცებულებას. თუმცა ეს რომ განადგურებული არ არის, ეს თქვენც კარგად იცით და მეც და სხვებმაც...

– დიახ, საუბარია, რომ ბევრი ასლი არსებობს...

– არსებობს ასლები, თანაც რამდენი კაცმა არ იცის. რას ემსახურებოდა საერთოდ ეს განადგურება? როცა იძახიან, რომ ის 94 თუ 96 ფაილი, რომელიც განადგურდა, პირადი ცხოვრების ამსახველია, დანარჩენი რისი ამსახველი იყო, რა ყრილობები იყო იქ გადაწყვეტილი, პარლამენტის ხსენებით თუ რა იყო გადაღებული? ყველა პირადი ცხოვრებისა. ან ვინ შეაფასა, რა არის ვინ თქვა? ჯერ ამინსტიკა იყო საუბარი, ამინსტიკა რა არის, საერთოდ ამ ხალხს გაუფორნა? ამინსტიკა არის კონკრეტულ მუხლებზე, კონკრეტულ დანაშაულზე, ჯერ გამოიკვება დანაშაული? რა ქვემდებარეობის იყო ის დანაშაული, გამოიკვება? რაზე უნდა იმსახუროს მისი მიცემა, რომ ეს არის ამა და ამ მუსლით ჩადენილი დანაშაული, რომ მერე ამინსტიკა შეეხებოდა. რა იურიდიული აქტი მოხდა ქვეყანაში, ჩემთვის გაუგებარია. როდესაც ქვეყანაში, ასეთი გაუგებარე ნაბიჯებს დგამს, სამართლებრივად აუხსენებს, მორალურადაც აუხსენებს, ეს უკვე საშიში ქვეყანაა! ძალიან საშიში ქვეყანაა, სადაც საზოგადოებას სრულად აქვს დაკარგული კონტროლი ხელისუფლებაზე, აბსოლუტურად აღსრულად და ვიღაცა ამოქმედებული სახეებით ხდება ქვეყნის მართვა. ეს სამარცხნოა, თუმცა სირცხვილზე უარესი ის არის, რომ საშიშა ასეთი ქვეყანა. არავინ იცის, ეს ადამიანები ხვალ რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ქვეყნის საწინააღმდეგოდ და რასაც ისინი გადაწყვეტენ, იმას გააკეთებს ხელისუფლებამ და ამ ფონზე კანონის სრული იგნორირება ხდება.

– საუბარია, რომ ამ ფაილებში ძალიან ბევრი კომპრომატი ახალ ხელისუფლებაზეც და მათ ინტერესებშიც შედიოდა ამ მასალების განადგურება...

რეზო... თქვენი აზრით ასეა?

– რა თქმა უნდა, ასეთ ეჭვებს ინვესტის ყველაფერი. როცა ასეთი გადაწყვეტილებას დასწავლიდა ხელისუფლება, ბუნებრივია, ამ ეჭვებს ბადებს, რომ ახალ ხელისუფლებამაც იყო კომპრომატი... კარგით რა, დღეს რა არის ხელმოწერილი, ეგ რომ იყოს... ისედაც ყველაფერი ყველაფერი იცის. ყველაზე მეტად რაც ჩემთვის არის მტკიცებულება და მიუღებელი, ეს არის კანონთან დამოკიდებულება ქვეყნის ხელისუფლების. გვითხრან მაშინ, რომელმა ორგანომ მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, რომელსაც ამის უფლება ჰქონდა. ეს სერიოზული დამოკიდებულებაა? ეს სახელმწიფოებრივი დამოკიდებულებაა? და ამ ფონზე შენ გეუბნებიან, რომ ვადამდეელი არჩევნები არ ჩავატაროთ, იმიტომ, რომ კონსტიტუციური ვადა არ შევზღუდოს დეპუტატსო. ახლა ეს ხომ ორი ურთიერთგამომრიცხავი მიდგომაა?! ეს შერჩევითი სამართალია. თუ თვითონ სჭირდებათ, მაშინ კანონია და თუ არ სჭირდებათ, ყველაფერს აკეთებენ კანონის გვერდის ავლით. თავისთავად ამ მასალების განადგურება დანაშაულია. თუ ჩვენ ვერ დავივლით იურიდიულ საფუძველს ამის განადგურების, ეს არის დანაშაული, რომელიც ხელისუფლებამ ჩაიდინა!

– ივანიშვილი უკვე ღიად და საჯაროდ ალაპარაკდა წასვლის თაობაზე. აქტიურად მიდის საუბარი, თუ ვინ იქნება მისი შემცველი, თუმცა პეტიციონერი ჯერჯერობით თავს იკავებს მეტეკვიდრის დასახელებისაგან. რა დადებით და უარყოფით შედეგებს მოიტანს მისი პოლიტიკიდან წასვლა?

– დაუსტებელი ძელია იმის თქმა, რა შეიძლება მოხდეს, მაგრამ ის, რომ ყველაფერში არეული სიტუაცია იქნება, ფაქტია. იქნება ისეთი სიტუაცია, სადაც გაურკვეველი ხდება, თუ ვინ უნდა მართოს ქვეყანა. აქამდე, როდესაც პრემიერზე ვსაუბრობდით, ცუდი იყო თუ კარგი იყო, წარმოდგენა გვექონდა მის საქმიანობაზე, მის წარსულზე, დღევანდლობაზე... აგერ დღე-ღამე უახლო პრემიერი უნდა დაინიშნოს და ისიც კი არ ვიცით და იმის ღირსიც კი არ გავხდით, რომ ვიცოდეთ, ვინ არის ეს ადამიანი. რაღაცნაირად ადამიანებმა ხომ უნდა შეძლონ თავიანთი მომავლის დაგეგმვა და განსაზღვრა? იმიტომ, რომ აბსოლუტურად გაუგებარ სიტუაციაში აღმოჩნდა ხალხი. ჯერ სერიოზულ სტატუსს იკარგა ვინმე ქვეყანა და თან პლუს ასეთი გაურკვეველი გადაწყვეტილებები, თუ რა იქნება მომავალი? ვინ იქნება ის ადამიანი, ვინც უნდა მართოს ქვეყანა. მართალია ქვეყანა ნაციონალურმა ჩაადგინა ამ დღეში, მაგრამ დღესაც სერიოზული პრობლემებია, ვერ ვიტყვით, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნების ის შედეგი მოიტანა, რასაც საზოგადოება ელოდა. დღეს ისეც გაურკვეველობაში შევიდვართ, ვინ იქნება პრემიერ-მინისტრი, ვინ იქნება პრეზიდენტი... გასაგებია, რომ მარგველაშვილი დაასახელა ივანიშვილმა, მართალია გიორგი მარგველაშვილი ყველაწინააღმდეგობით ადამიანია, დადებითი პიროვნებაა, კარგი ადამიანია, მაგრამ პოლიტიკა კიდევ სხვა რაღაცაა. არავინ იცის, ის პოლიტიკაში და მით უმეტეს, ქვეყნის პრეზიდენტად როგორ შეძლებს ამ ყველაფერს. ამას ემატება ის, რომ ქვეყნის პირველი პირი სამომავლოდ, ანუ პრემიერ-მინისტრი, საზოგადოებისთვის უცნობია და არ გამოვრჩევიან ის ისეთი პიროვნება იყოს, რომელიც სულაც არ იცის საზოგადოებამ ვინ არის და რა არის. თუ მას საზოგადოება არ იცნობს, ეს არ არის კარგი, რადგან თუ საზოგადოება არ



იცნობს, მას არც პოლიტიკური გამოცდილება ექნება, არც შესაბამისი ცოდნა. დღეს ასეთი მდგომარეობაში ჩავარდნილ ქვეყანას, როგორც საქართველო, სჭირდება სერიოზული, ამ სფეროში გამოცდილი ადამიანები, რომ მათ ქვეყნის მართვა შეძლონ. ეს გაურკვეველი სიტუაცია, რომელიც ხელმოწერა არის შექმნილი, ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს აჩენს საზოგადოებაში. საერთოდ რა იყო და რისთვის იყო საჭირო ივანიშვილის მოსვლა პოლიტიკაში?

– რამდენად აღმოჩნდება ქვეყანა სერიოზული კრიზისის წინაშე?

– ყოველ შემთხვევაში არაორდინარულ სიტუაციაში ჩავარდნილი საზოგადოება, რომ ამ გაურკვეველ პროცესებში გაუხვევია, ეს ფაქტია. უამრავი პრობლემაა დაგროვილი და ჯერ ძვრა არ უნახს მათ გადაწყვეტას. ერთი პრეზიდენტის არჩევა, რომელსაც არანაირი უფლებამოსილება არ გააჩნია, რას შეცვლის ასეთი, ჩემთვის გაუგებარია. ის, რომ სააკაშვილი ჩამოშორდება პროცესებს, მეტწილად უკვე ჩამოშორებულია პროცესებს, მაგრამ ამით არაფერი არ შეცვლება და ახალი პრეზიდენტის მოსვლა რას შეცვლის? ძალიან ბუნდოვნად ჩანს პერსპექტივა თუ რა განვითარება ექნება ქვეყანას. ყოველ შემთხვევაში კარგის მსურველის დაგეგმვა რომ არ არის ეს ყველაფერი, რაც ხდება ქვეყანაში, ეს ცხადია და ამას ძალიან მალე დაგინახავთ, საითკენ მივსვამხვართ ეს პოლიტიკა. მე ვისურვებდი, რომ ეს არ ყოფილიყო ჩვენი ქვეყნისთვის საბედისწერო. ვისურვებდი, რომ მართლაც უკეთესობისკენ წავიდეს პროცესები, თუმცა ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები...

– ივანიშვილი თვლის, რომ მას ძირითადი დანაპირები შეასრულა, მიდის, მაგრამ ძლიერ გუნდს ტოვებს. თუმცა იქვე იმასაც აღნიშნავს, რომ არ მიდის შორს და ექნება საშუალება, გააკონტროლოს ხელისუფლება... თქვენი აზრით, რამდენად გამოუვა ეს?

– იცით რა, მე ვფიქრობ, რომ ის ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც კი ძლიერად კი არა, საშუალოდაც კი ვერ აკონტროლებს ხელისუფლებას, ეს კონ-

ტროლი არ ჩანს, მრავალი მიზეზის გამო, რომლის დაკონკრეტებისგანაც ახლა თავს შევიკავებ. მაინც რომელი უნდა იყოს, რომელი სამინისტროა, რომელიც კარგად არის გაკონტროლებული და სადაც არ არის უამრავი პრობლემა. წასვლის შემდეგ გარედან რანაირად შეძლებს ამ ყველაფრის გაკონტროლებას, ჩემთვის გაუგებარია, ეს არ მესმის. როგორ უნდა მოხდეს ეს, ანდა რა ცივილიზებული ფორმაა ქვეყნის კონტროლი და მართვა გარედან? თუკი ეს საჭიროა, მაშინ ეს უნდა გააკეთოს ხელისუფლებაში ყოფნისას. როდესაც ამას აკეთებ იმ პოზიციიდან, რომელიც პოზიციაც არ ჯდება სახელმწიფოებრივ აზროვნებაში და სახელმწიფოებრივ მიდგომაში, ეს კარგი არაფერი არ არის. ასე კრიმინალური სამართალი აკონტროლებდა ქვეყანას გარეკვეულნილად და ასე შემდეგ... რას ნიშნავს გარედან კონტროლი? გარედან არის მხოლოდ საზოგადოების კონტროლი, რომელიც დღესაც არსებობს და მანამდეც არსებობდა. სხვას, გარდა იმისა, რომ საზოგადოებამ აკონტროლოს, ერთმა ინდივიდმა რატომ უნდა აკონტროლოს ქვეყანა, ეს ჩემთვის გაუგებარია და მიუღებელიც. კონტროლი უნდა მოხდეს ხელისუფლებიდან. არანაირი პასუხისმგებლობა, არანაირი თანამდებობა და ამ დროს ინარჩუნებ გავლენას ხელისუფლებაზე – ეს რას ნიშნავს?! რა სისტემაა, სად რომელ ქვეყანაში უარსებია ასეთი მოდელი და სად არის კი მიღებული და გამართლებული?! რომელი ქვეყნის მოდელია, რომელსაც ივანიშვილი გეთავაზობს წასვლის მერე? სამოქალაქო საზოგადოებაში, სამოქალაქო საზოგადოებაში თავის დატვირთვა აქვს და თავისი უზარმაზარი ფუნქცია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ შენ მინისტრებს დანიშნავ, პრეზიდენტებს და პრემიერებს. სამოქალაქო საზოგადოება აკონტროლებს, როგორ მუშაობს ხელისუფლება, რამდენად ეფექტურია ხელისუფლება და ასე შემდეგ. სხვა ტიპის ჩარევები როგორ უნდა მოხდეს? თუკი არ იქნა ხელისუფლების ნება, რომ არ იქნეს კორუფცია, არ დაირღვეს ადამიან-

ის უფლებები, გარედან კონტროლით ეს ვერ იცვლება. ჩვენ ამის რამდენწლიანი გამოცდილება გვაქვს ხომ? იგივე შევარდნაძის ხელისუფლების დროს, თქვენ გახსოვთ, როგორი ძლიერი იყო არასამთავრობო სექტორი, ამაზე ძლიერს ბიძინა ივანიშვილი კი არა, ვერა-ვინ ვერ გააკეთებს, როგორც მაშინ იყო, მაგალითად, ჩემს დროს, მაგრამ ქვეყანაში იყო უზარმაზარი კორუფცია, იყო ადამიანის უფლებების დარღვევა, მედია იყო იმ დროს თავისუფალი, მაგრამ ეს დემოკრატიის შედეგი კი არ იყო, არამედ ხელისუფლების უუნარობის შედეგი იყო. ძალიან ძლიერი კონტროლი იყო ჩვენს დროს, მაგრამ ეს დიდად ვერაფერს ცვლიდა.

– თქვენ ფიქრობთ, რომ ვერაფერს შეცვლის?

– რა თქმა უნდა, ვერა. თუ შიგნით არ იქნა პოლიტიკური ნება, გარედან ვერაფერს გახდები. მით უმეტეს, შენ როდესაც ხელისუფლებაში ტოვებ ისეთ პიროვნებას, რომელსაც არანაირი გამოცდილება ამ მიმართულებით არა აქვთ და შენ იძახი, რომ მე ამას გარედან ვმართავ, ჩემთვის გაუგებარია, რანაირად, როგორ?! ბიძინა ივანიშვილს შეიძლება ძალიან დიდი გამოცდილება აქვს ბიზნესში და წარმატებულია, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ამ მიმართულებით მე ნაკლები გამოცდილება მაქვს, ვიდრე ბიძინა ივანიშვილს, სამოქალაქო სექტორს რაც შეეხება. მას ვერ შევედევები ბიზნესსფეროში, მაგრამ ამ სფეროში ნამდვილად ვფიქრობ, რომ შემოძლია კითხვების დასმა. რას ჰქვია გარედან? თავისუფლების ინსტიტუტი რომ აკონტროლებდა შევარდნაძის ხელისუფლებას ამაზე მეტი კონტროლი რა გინდათ, მაგრამ რა შედეგი? პოლიციის შენობებთან რა ცეცხლი ხალხი, კორუფცია არ იყო თუ ვანუკითხობა?

– საუბარია, რომ უბრალოდ შედეგები ტყუილი იყო მისთვის ამ სიტუაციაში ყოფნა, იძულებით შემოვიდა პოლიტიკაში და უბრალოდ წასვლის ასე ხსნის, რომ სამოქალაქო სექტორში გადავიდეთ...

– იცით რა არის, მე არ ვიცი, მან იძულებით გადადგა ეს ნაბიჯი, ნებით გადადგა თუ რა ხდება, მაგრამ არა არს დასაბუთებული, რომელიც არ განცხადდება. ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ადრე თუ გვიან ეს ყველაფერი ძალიან შედეგად გამოვა. თუ ეს ყველაფერი ასე არ არის და ისეა როგორც ის ამბობს, მაშინ მან უფრო კარგად უნდა განმარტოს, რას ნიშნავს ეს ყველაფერი. ან ის რას ნიშნავს, რომ აქამდე არ იცის ხალხმა, ვინ უნდა იყოს პრემიერ-მინისტრი? ნავა და უტბად გვეტყვის ეს იქნება შენი პრემიერ-მინისტრიო შეგვარტოვებს ისევე, როგორც ეს გაუგებარია პარლამენტის შეგვარტა ხელში, რომლისთვისაც კაცოშვილს ხმა არ მიუტყია და ის პოლიტიკი, რაც ქართულ ოცნებას აქვს, ამას ვერც ერთი პარტი ვერ მიიღებდა, რომ არა ბიძინა ივანიშვილი. დღეს კი გვეუბნებიან – ვადამდეელი საპარლამენტო არჩევნების დროს იქნება და ხალხმა არ უნდა აიჩიოს და გყავდეთ ის, ვინც ივანიშვილმა დატოვა. ეს ძალიან დიდი შეურაცხყოფაა საზოგადოების მიმართ. მან ხომ ძალიან კარგად იცის, რომ ეს პარლამენტი ხალხს არ აურჩევია. ისიც ხომ კარგად იცის, რომ თვითონ დათანხმდა იმ გაყალბებულ არჩევნებს, თორემ ნაციონალურ რომ მიტაცებული აქვთ 40%, ეს ყველაფერს ცხადობს. დღეს კი გამოდიხარ და საზოგადოებას ეუბნები – არა, კონსტიტუციური ვადები უნდა ამოინურსო. რისი ვადები უნდა ამოინურსო, რისთვისაც ხალხს ხმა არ მიუტყია? და არ აურჩევია? ეს ხომ არის კონსტიტუციის ამოფარებული დიდი ტყუილი. კანონი იმასაც გვეუბნება, რომ პარლამენტი ხალხის მიერ უნდა იყოს არჩეული და მე თქვენ გეკითხებით – სეთია დღევანდელი პარლამენტი?!

– როდესაც მომავალ პრემიერზე ვსაუბრობთ, თქვენი აზრით, რატომ არის გასაიდუმლოებული მისი ვინაობა?

– არ სახეობს იმიტომ, რომ ამან შეიძლება დიდი ვნებთაღელვა გამოიწვიოს. პარლამენტი შეჩვენებული ხალხისთვის და ახლა პრემიერიც ასეთივე. რა არის ასეთი ქალის დატოვება? ეს ძალიან დიდი უპასუხისმგებლობაა საკუთარი ქვეყნის და საკუთარი ხალხის წინაშე.

თქვა ნულუკიანი: „განკითხვის ქაში ყველა დაუდგება“

იუსტიციის მინისტრის მთავარი პროკურორის თანამდებობიდან გადაყენების სურვილი არ აქვს. როგორც თქვა ნულუკიანმა დღეს ყვარულში იუსტიციის სასწავლო ცენტრის გახსნისას ჟურნალისტებს განუცხადა, მას აზრადაც არ მოსვლია, რომ ამგვარი წერილით მიემართა საქართველოს პრეზიდენტისათვის. „დღევანდელი კანონმდებლობით, მთავარი პროკურორის გადაყენების საკითხს ხელს აწერს იუსტიციის მინისტრი და სთავაზობს პრეზიდენტს, რომ ამგვარი აზრი მომივიდა და შეთანხმებით თუ არაო. მე აზრადაც არ მომსვლია, რომ ამგვარი წერილით მიემართა საქართველოს პრეზიდენტისათვის. ყველა ხელისუფლებაში მყოფი ადამიანისთვის დგება ხოლმე საკითხი მთავრობის წევრის საქმიანობის შეფასებასთან დაკავშირებით. ყველა ჩვენგანისთვის დადგება ეს დრო, ნომერში იქნება ეს თუ დღევანდელი, მით უმეტეს, სამწუხაროდ, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ის ტოვებს პოლიტიკას და მთავრობას. როდესაც ის ამას განახორციელებს, დადგება ყველას შეფასების მომენტი და განკითხვის ფაზა. ეს შეეხება მე, ეს შეეხება მთავარ პროკურორს და ყველას. ყველას მოგვეთხოვება პასუხი, ვინ როგორ იმუშავა და ყველა წარესდებათ სამსჯავროზე“, – განაცხადა თქვა ნულუკიანმა.





გურამ ოდიშარია ლიანა ისაკაძეს შეხვდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რისო კონკურსის ლაურეატი — პარიზში გამართულ მარგარიტ ლონგისა და ფაკტივის სახელობის ფესტივალზე მან პირველი პრემია მოიპოვა, მოსკოვში ჩაიკოვსკის სახელობის მესამე პრემიის მფლობელი გახდა, პელოსკოში სიბედიუსის სახელობის ფესტივალზე პირველი პრემია მოიპოვა. 45 წელიწადზე მეტია ლიანა ისაკაძე გასტროლოგებს საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში მართავს. ის თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მეციოლინია. მისი ღვაწლმოსილი შრომა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიით არის შეფასებული, იგი „საპატიო ნიშნის“ ორდენის მფლობელია. როგორც მუსიკათმცოდნეები აღნიშნავენ, იმის დაკვრა გამოირჩევა არტისტიკით, ღრმა მუსიკალურიობითა და ვირტუოზულობით. მისი საკონცერტო რეპერტუარი მოიცავს კლასიკური და თანამედროვე მუსიკის საუკეთესო ნიმუშებს. ლიანა ისაკაძე ქართველი კომპოზიტორების მთელი რიგი ახალი ნაწარმოებების პირველი შემსრულებელია. მათ შორისაა ოთარ თაქტაიშვილის სავიოლინო კონცერტი. ქართველი მეციოლინე გადაღებულია ფინურ მხატვრულ ფილმში „სიბელიუსი“. მის შესახებ გადაღებულია იაპონური დოკუმენტური ფილმიც. ლიანა ისაკაძე ხელმძღვანელობდა პატრიარქის ლოცვა კურთხევით და არსებულ ფესტივალს „ადგილიდან ამაღლებამდე“, რომელიც კლასიკური მუსიკის პოპულარიზაციას, ახალგაზრდებში ტრადიციების შენარჩუნებას და საქართველოს რეგიონებში გემოვნების მუსიკის ჩატანას ემსახურება. ლიანა ისაკაძის მიერ დაარსებული „ღამის სერენადები“ პირველად ბიჭვინთაში იმართებოდა, მოგვიანებით ამ ფესტივალმა საერთაშორისო

სახე მიიღო, თუმცა სოხუმის დაცემის შემდეგ ფესტივალმა არსებობა დროებით შეწყვიტა. წლების შემდეგ ფესტივალმა ბორჯომის კომპოზიტორთა სახელში გადაინაცვლა, ამ სახელთან დაკავშირებული ფესტივალს ორგანიზება საქართველოს კულტურის პალატამ გაუწია, ამიტომ ფესტივალში ბევრი სიახლე დაიგეგმა. ლიანა ისაკაძის სახელობის ფონდსა და საქართველოს კულტურის პალატას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის თანახმად მუსიკალური შეხვედრები სახელწოდებით „ღამის სერენადები“ კულტურის პალატის ორგანიზებით ჩატარდება.

გურამ ოდიშარია ლიანა ისაკაძესთან შეხვედრის გარდა, მონაწილეობა მიიღო საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელად მუშაობაში. სამინისტროს დელეგაციამ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლაზე დათვალიერება და მუშაობის თანამშრომლებთან შეხვედრა. სამინისტროს დელეგაციამ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლაზე დათვალიერება და მუშაობის თანამშრომლებთან შეხვედრა. სამინისტროს დელეგაციამ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლაზე დათვალიერება და მუშაობის თანამშრომლებთან შეხვედრა.



შირებული გაუგებრობების გამო, ფესტივალი ვეღარ გაგრძელდა, საბოლოოდ კი მან გონივრულად დატოვა ეს ჯემ ზღვისპირას დაიქვედრა ადგილი. — ფესტივალი აფხაზეთში დაარსდა. 8 წლის განმავლობაში ეს ფესტივალი უდიდესი პოპულარობით სარგებლობდა როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. სასიხარულოა, რომ ამდენი წლის შემდეგაც ფესტივალმა თავისი ძეგლობა არ დაკარგა და ახლაც კიდევ ინტერესია მსოფლიო მუსიკოსთა მიერ ამ ფესტივალში მონაწილეობისთვის. ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში არსებობს საზოგადოება, რომელიც წლიდან წლამდე ელოდება ჩვენს ფესტივალს. წელს ღამის სერენადები საკმაოდ საინტერესო პროგრამით იქნება წარმოდგენილი.

წელს ფესტივალს ორგანიზება საქართველოს კულტურის პალატამ გაუწია, ამიტომ ფესტივალში ბევრი სიახლე დაიგეგმა. ლიანა ისაკაძის სახელობის ფონდსა და საქართველოს კულტურის პალატას შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომლის თანახმად მუსიკალური შეხვედრები სახელწოდებით „ღამის სერენადები“ კულტურის პალატის ორგანიზებით ჩატარდება.

გურამ ოდიშარია ლიანა ისაკაძესთან შეხვედრის გარდა, მონაწილეობა მიიღო საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელად მუშაობაში. სამინისტროს დელეგაციამ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლაზე დათვალიერება და მუშაობის თანამშრომლებთან შეხვედრა.

კულტურის მინისტრმა ასევე განაგრძო ვიზიტები საქართველოს რეგიონებში და ამჯერად უკვე ქალაქ რუსთავს ეწვია. იგი ოფიციალური ვიზიტით რუსთავში თავის მოადგილესთან ალექსანდრე მარგინილთან ერთად ჩავიდა, სადაც დაიგეგმა რუსთავის ისტორიული მუზეუმის დათვალიერება და მუზეუმის თანამშრომლებთან შეხვედრა. სამინისტროს დელეგაციამ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ხელოვნების სკოლაზე დათვალიერება და მუშაობის თანამშრომლებთან შეხვედრა.

ვიზიტის ბოლოს დაიგეგმა ხელოვნების სკოლის შენობაში ადგილობრივი ფოლკლორული კოლექტივების მონაწილეობით გამართულ კონცერტზე დასწრება.

ლვოვში თბილისის დღეები ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

9-დან 14 სექტემბრის ჩათვლით ლვოვში თბილისის დღეები გაიმართება. როგორც თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრში განაცხადეს, ქალაქი ლვოვი თბილისის მერიასთან თანამშრომლობით ახორციელებს პროექტს „ქალაქ ლვოვის დღეების ჩატარება თბილისში და ქალაქ თბილისის დღეების ჩატარება ლვოვში“. პროექტი დაფინანსებულია გერმანიის მარშალის ფონდის „ზი ბლექ სი თრასტი“-ის რეგიონალური განვითარების პროგრამის ფარგლებში.

პროექტის მიზანი თბილისისა და ლვოვის შორის თანამშრომლობის გაღრმავება, განსაკუთრებით კი კულტურის, ტურიზმისა და ქალაქის ინვესტიციების მიმართულებით. გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს შორის გამოცდილების გაზიარება.

პროექტის ფარგლებში, 2-9 ივნისის განმავლობაში განხორციელდა ვიზიტი ლვოვის დღეების თბილისში ჩატარებაზე. ვიზიტის განმავლობაში, მოეწყო შეხვედრები მუნიციპალიტეტის, არასამთავრობო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის. შეხვედრების მთავარი მიზანი იდენტების და ინიციატივების გაცვლა იყო.

პროექტის მიხედვით, 2013 წლის 9-14 სექტემბერს იგეგმება დღეები.

ღეგაციის ვიზიტი ლვოვში, თბილისის დღეებთან დაკავშირებით. მოეწყო შეხვედრები სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან, ტურიზმთან, საინვესტიციო შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ასევე, ლვოვის წარმომადგენლების მიერ მოხდებოდა კლასტრულ განვითარებასთან დაკავშირებით გამოცდილების გაზიარება. თბილისის დელეგაცია წარადგინა თემის ელექტრონულ მმართველობასთან და არქიტექტურულ სერვისებთან დაკავშირებით.

14 სექტემბერს ლვოვის მერიის წინ მოედანზე ვიზიტი დაასრულეს საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი წარმოდგენით „კრიმინალური“ პანტომიმის თეატრი უკრაინის ქალაქ ლვოვში 12 სექტემბერს გაემგზავრა. მანამდე კი პანტომიმის თეატრის მსახიობებმა თბილისის ქუჩებში თეატრალური აქცია გამართეს, რითიც მორიგი თეატრალური სეზონის გახსნა დაანონსეს. თეატრის დასმა აქციით „ყველა ერთისთვის — ხელოვნებისთვის“ თბილისის ქუჩებში შემხვედრად გამვლელს აცნობეს, რომ ახალი თეატრალური სეზონი 10 სექტემბერს ამირან შალიკაშვილის სექტაკლით „კრიმინალური“ გაიხსნება. გარდა ამისა, თბილისი ქუჩებში გამართული აქციით პანტომიმის თეატრის მსახიობებმა სხვადასხვა სტრუქტურის წარმომადგენლებისგან მათი შენობის პრობლემის მოგვარება მოითხოვეს.

სჯანვოხი

1. ნიაგი; 2. მცირე არია; 3. იაპონური თეატრი; 4. ფელამუში; 5. ლმობიერი, გულკეთილი; 6. შიიტა უმალესი სასულიერო პირის ტიტული ირანში; 7. მეექვსე ნოტი; 8. ... უკრაინა; 9. თხის ჯოგი; 10. დროის მონაკვეთი კრივი; 11. ნაწული სარაჯიშვილის კინოროლი; 12. ცდის გარეშე; 13. ადამიანის უძველესი სახეობა; 14. სატურნის თანამგზავრი; 15. სოფელი კასპის რაიონში; 16. ასო „ც“-ს სახელწოდება; 17. სადამსჯელო ოპერაცია სოფლად ცარიზმის დროს; 18. მუხის ნაყოფი; 19. ბერძნული ანბანის ასო; 20. ფრანგული არაფი; 21. ეკვიპეტოლოგის ღვაწლი; 22. საიალქნე მელი; 23. ჭურჭლის ფართობიანი ჭურჭელი; 24. კრივის მოედანი; 25. წერილი; 26. მალაის არქიპელაგის კუნძული; 27. ეროს ...; 28. კოლხი მედეას მამა; 29. მოკლე სატირული ლექსი; 30. ... ნინიძე; 31. ... ფრანკლინი; 32. ბრძოლა.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ექსპოზიციების პასუხები:

პროსპორდი ა
შვეულად: 1. „კურეუზაზი“; 2. შაბანი; 3. „გინესი“; 4. პლაკი; 5. ღვინო; 11. კენკრა; 12. ბუტიკი; 14. ლუცი; 16. პარსეკი; 17. იშტვანი; 19. თრაპია; 21. მტილი; 22. „ტოსკა“.
თარაზულად: 6. მურყავი; 7. პოლტავა; 8. კუქა; 9. ჰუმუსი; 10. „სარკე“; 13. „სიმი“; 15. აპლიკატურა; 18. ბასკი; 20. შუნი; 21. მანუჩი; 23. მიკროსკოპი; 24. ნოველა.

პროსპორდი ბ
შვეულად: 1. ბეირუთი; 2. ოკინავა; 3. „გარდინა“; 4. საცივი; 5. მიამიტი; 8. მოდერნი; 9. ჯაბახანა; 12. ალავერდი; 13. თალმუდი; 16. ჯანელიძე; 17. „ბორუსია“; 19. ჩინეთი; 20. შაბიტი.
თარაზულად: 6. რეკოკაცია; 7. „სალბინო“; 8. მოდული; 10. შუანაკო; 11. ყიჯა; 14. უხალთუნი; 15. ზარზულა; 18. „საბენა“; 21. იდგარი; 22. ნარდი; 23. „იგრიკა“; 24. პეტრონი.

ანიმაციური ფილმის პროექტის განვითარების კონკურსის მონაწილე პროექტები სწოებილია

ეკა ირემაშვილი

ეროვნული კინოცენტრის მიერ 2013 წელს მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტის განვითარების დასაფინანსებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილია 12 პროექტი: ლილე (პროდიუსერი შპს „20 სტეპს პროდაქშენს“, რეჟისორი ნათია ნიკოლეიშვილი), ფრანი (პროდიუსერი ფ/პირი გიორგი ვასაძე, რეჟისორი ვლადიმერ სულაქველიძე), ზუთი სხვადასხვა ამბავი (პროდიუსერი ფ/პირი გიორგი მირიანაშვილი, რეჟისორი ოთარ მურაშვილი), დათუნია დრუნჩა (პროდიუსერი ფ/პირი გიორგი მარშანია, რეჟისორი გიორგი მარშანია), დილა (პროდიუსერი ააპო კვალი, რეჟისორი რატი ნაწიშვილი), ჯიბის კაცი (პროდიუსერი და რეჟისორი ფ/პირი მარიამ მიდელაური), ჯინო (პროდიუსერი შპს ლორა პროდაქშენი, რეჟისორი დათო კიკნაველიძე), მეთევზე და გოგონა (პროდიუსერი ფ/პირი მამუკა ტყეშელაშვილი, რეჟისორი მამუკა ტყეშელაშვილი), ავთანდილის თავგადასავალი (პროდიუსერი ჯორჯიან ინტერნეშენალ ფილმს, რეჟისორი მირზა დავითაია), სარეცხის დიდი ხორცი (პროდიუსერი შპს ჯი-ფემ სტუდიო, რეჟისორი ქეთევან ნაცვლიშვილი), საზღვარზე (პროდიუსერი შპს სო-სტუდიო, რეჟისორი კობა ცხაკაია) და ზღვის წინ ორი ეგვიპტი (პროდიუსერი ინდემენარე ქეთევან ზედედიძე, რეჟისორი არჩილ ბირკაძე).

და იყოს წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში 2007 წლიდან. ვებ კატალოგი იქნება უნიკალური ბაზა დოკუმენტაციისთვის, საპროდუქციო კომპანიებისთვის, ადგილობრივი და საერთაშორისო მუსიკელებისა და ფესტივალებისთვის. კატალოგში მოსახვედრად ეროვნულ კინოცენტრში უნდა გაიგზავნოს ინფორმაცია დოკუმენტური ფილმებისა და პროექტების შესახებ. ფილმი/პროექტი უნდა იყოს წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში ბოლო 5 წლის განმავლობაში.

ეროვნული კინოცენტრი კინოპროდიუსერებისა და რეჟისორების საყურადღებოდ აცხადებს, რომ ეროვნული კინოცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტი „რეჟისორები საზღვრებს მიღმა“ იწყებს განაცხადების მიღებას უორქშოფისთვის, რომელიც 21-25 ოქტომბერს კიევიში გაიმართება.

უორქშოფი ეძღვნება სრულმეტრაჟიანი ფილმის წარმოების შემოქმედებით, ფინანსურ და იურიდიულ საკითხებს. განაცხადების მიღება კი 15 სექტემბერს იწყება.

ქართველ ხელოვანებს საკუთარი განაცხადის წარდგენა შეუძლიათ მაკედონიის საერთაშორისო ანიმაციის ფესტივალზე, რომელიც არის ოთხდღიანი ფესტივალი და ერთადერთი ანიმაციის ფესტივალი მაკედონიის რესპუბლიკაში. მათ მხარდაჭერებს შორის არის მაკედონიის კულტურის სამინისტრო და ქალაქი სკოპიე. ფესტივალი დაგეგმილია ნოემბერში და ეს იქნება მისი მესამე ღონისძიება. ფესტივალში მონაწილეობის მსურველთათვის განცხადების წარდგენის ბოლო ვადა 30 სექტემბერია. ოფიციალური კონკურსისათვის 25-წუთიანი ფილმები შეიძლება დასრულდეს ნებისმიერი ანიმაციის ტექნიკის გამოყენებით, გადაღებული 2011 წლის 31 დეკემბერს. შერჩევის მერე, არჩეული ფილმები მიიღებენ მონაწილეობას საბოლოო კონკურსში და იქნება ნაჩვენები ოფიციალურ პროგრამაში.

ფერენციის ლაბორატორია ლიანა ისაკაძის კრეატიული წარმომადგენლებისათვის, მოაზროვნებისათვისა და შემქმნელებისათვის მიმდინარე პროექტებით, ან მათ გარეშე. პროექტის წარდგენის ბოლო ვადა 18 აგვისტოს ამოიწურა, პროექტის არ მქონე მონაწილეებისათვის კი ბოლო ვადა 18 სექტემბერია.

ჩვენ ვთავაზობთ მედიის კრეატიულ წარმომადგენლებს ახალ გედვას ტრანსმედიის თხრობაზე და პროდუქციაზე და უზრუნველყოფთ ქსელური მუშაობისთვის და იდეების გაცვლა-გამოცვლისთვის პლატფორმას ისეთ გამოცდილ კოლეგებთან და საერთაშორისო პედაგოგებთან, როგორცაა ლენა თილე, ადნან ვასიე, ქეი მესტერე და ბევრი სხვა. ეს ღონისძიება უზრუნველყოფს ინდივიდუალურ მხარდაჭერას თქვენი ტრანსმედიის პროექტისთვის, ყოველსომოცველ ხედვას ინტერაქტიულ თხრობასა და მედიის არქიტექტურაზე. კინემატოგრაფები, მედიის პროფესიონალები და კროს-მედიის კრეატიული წარმომადგენლები არიან მოწვეულები, რომ შეიტანონ განცხადება თვითნებურ მრავალპლატფორმულ მიმდინარე პროექტებით, რომლებიც დაკავშირებულია დოკუმენტურ ანიმაციურ ფილმთან. — ამბობენ ეროვნულ კინოცენტრში.

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოაცხადა პირველი საერთაშორისო კონფერენცია კინოცენტრებში. კონფერენციის მთავარი თემაა „ქართული კინო: ანჭყო და წარსული“.

ვეპატივებით კინოფაკულტეტისა და ასევე სხვა დაკავშირებული ფაკულტეტების სტუდენტებს წარმოადგინონ თვითნებური პროექტები. რეგისტრაცია უფასოა. კონფერენცია ჩატარდება ინგლისურ ენაზე. მონაწილეები, მგზავრობის და საცხოვრებელ ხარჯებს თავად დაფარავენ. დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, 300 სიტყვიანი განაცხადი ელექტრონულ ფოსტაზე გაუგზავნონ პროფესორ ზვიად დოლიძეს. მიღების ბოლო ვადა კი 3 სექტემბერს ამოიწურა. — განმარტეს ეროვნულ კინოცენტრში.

ახალი თარბა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
<http://www.opentext.ge/akhalitaoba>

ქართული ლარის მიმართ უსხოვარი ვალუტების გახვლითი კურსი



აშშ დოლარი — 1,6625



ევრო — 2,1789



ინგლისური გირვანკა სტერლინგი — 2,5892



100 რუსული რუბლი — 4,9725



გაღე! გაღე! გაღე!

ლაგენდარული ქართული ლეგენდის, „მგლის ბილიკის“, გაგრძელება

„შავი პარდი“

„ახალ თარბასთან“ ერთად

ოლიმპიური ცეცხლი იაპონიაში ბრუნდება

2020 წელს, 16 დღის მანძილზე ოლიმპიური ცეცხლი კვლავ იაპონიის დედაქალაქში



იგიზგივებს. ეს გადწყვეტილება ბუნებრივად მიმდინარე საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 125-ე სესიამ მიიღო. რიგით 32-ე ოლიმპიური თამაშების ჩატარებისთვის ტოკიოსთან ერთად მადრიდ და სტამბოლი იბრძოდნენ. ესპანეთის დედაქალაქმა მხოლოდ 26 ხმა მიიღო და ამ გრანდიოზული სპორტული ფორუმის მასპინძლობის ოცნებას პირველივე ტურში გამოეთიშა. მალევე ნათელი გახდა, რომ სანადალს ვერც სტამბოლი მიიღწევდა და საბოლოოდ ტოკიომ 60 ხმით 38-ის წინააღმდეგ გაიმარჯვა. ჟაკ როგი, სოკის პრეზიდენტი: — ტოკიოს გამარჯვებას

ქათა თოფურია გათხოვდა

ეკა ირემაშვილი

რუსული ჯგუფის „სტუდიოს“ ქართველი სოლისტი ექთა თოფურია ოფიციალურად გათხოვდა და ბიზნესმენ ლეე გეინზის კანონიერი ცოლი გახდა. წყვილმა მამის ბიუროში მონაწილეობის ამსახველი ვიდეო თავად ქათა თოფურიამ ინსტაგრამზე განათავსა.

ქორწილამდე ორიოდე დღით ადრე ქართველმა მომღერალმა მეგობრებთან ერთად მოიხილა. გოგონები სპეციალურ მისიურებში გამოეყვანენ, რომელსაც სიმბოლური წარწერები ჰქონდათ. ქათას უახლოეს მეგობრებთან ერთად მოსკოვში ამ მნიშვნელოვან დღეს მომღერლის

გვერდით ქრისტიანე იმედაძეც იმყოფებოდა.

ერცულდებინა ინფორმაცია, რომ ქათა თოფურია სულაც არ აპირებდა ქორწილის გადახდას და საყვარელად მიიჩნევდა ცხოვრება ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე სურდა, მაგრამ რუსული ესტრადის პრინციპებმა ალა პუგაჩოვამ ქათა თოფურია იძულებული გახადა ქორწილი გადაეხადა.

წყვილმა ქორწილის საბოლოო თარიღიც დათქვა — 9 სექტემბერი. სწორედ ამ დღეს მათი რამდენიმე წლიანი ურთიერთობა გრანდიოზული ქორწილით დასრულდება. ალა პუგაჩოვას მეუღლის მქსიმ გალკინის იუბილეზე რუსეთის პრინციპებმა წყვილს ასეთი კითხვა და-



უსვა: თქვენი ურთიერთობა და სიყვარული ძალიან კარგია, მაგრამ ქორწილს როდის გადაიხდით? ლეე გეინზისმა იქვე სთხოვა

ხელი ქათას და თანხმობაც იქვე მიიღო.

ქათამ გადწყვეტა საქორწილო კაბა ევროპაში შეეძინა. ჯერჯერობით საიდუმლოა რომელი დიზაინერის სამოსზე შეაჩერა ქათამ არჩევანი, მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ მომღერალს კაბა უკვე სახლში აქვს და ის ევროპიდან ორი დიდი ყუთით ჩამოიტანა.

ქათა თოფურია და ლეე გეინზიანი მხოლოდ ქორწილით და ხელის მოწერილ შემოიფარგლებიან, წყვილს ჯვრის დაწერა არ აქვს დაგეგმილი, რადგან სხვადასხვა აღმსარებლობის არიან და ღვთის წინაშე ცოლ-ქმრული ფიცის დადება ვერ შეძლებენ.

გურამ ოლიშვილი ლიანა ისაკაძეს შეხვდა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოლიშვილმა ცნობილი მევიოლინე ლიანა ისაკაძე და ფესტივალის ორგანიზატორები მიიღო. საუბარი შეეხო ქალაქ ბათუმში გამართულ საერთაშორისო ფესტივალს „ღამის სერენადებს“, რომელიც კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა. ასევე, სამომავლო გეგმებსა და თანამშრომლობას.

„ღამის სერენადები“ ოფიციალურად ქალაქ თბილისში დაიხურა. საზეიმო დახურვას რუსთაველის თეატრში შედგა. კონცერტი სოლომონ მიხოელის კულტურის საერთაშორისო ცენტრის 25-ე საერთაშორისო პროექტის „კულტურა საზღვრებს გა-

რეშ“ ფარგლებში შედგა და აღსანიშნავია, რომ საღამოზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოლიშვილი, მუსიკის საშუალებით მსოფლიოს ხალხთა დამეგობრების საქმეში შეტანილი წვლილისათვის სოლომონ მიხოელის პრიზით დაჯილდოვდა.

საერთაშორისო პროექტი „კულტურა საზღვრებს გარეშე“ ეძღვნება მოსკოვში არსებული სოლომონ მიხოელის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრის დაარსების 25 წლისთავს. მისი მიზანია ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცება. პროექტი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იუნესკოს პატრონაჟით ტარდება.

კონცერტი, რომელიც აღნიშნული პროექტის ფარგლებში შედგა გამოჩენილი მევიოლინე ლიანა ისაკაძის ხელმძღვანელობით გაიმართა.

წელს ფესტივალის „ღამის სერენადები“ გონივრულ ნაცვლად ქალაქ ბათუმში, საზაფხულო თეატრში ჩატარდა. მასში მონაწილეობას იღებდა მსოფლიოში ცნობილი, უნიკალური საფესტივალო კამერული ორკესტრი „ფესტივალის ვირტუოზები“, რომელიც ლიანა ისაკაძის ინიციატივით შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკოსებს თვითონ ჰყავთ ორკესტრები ნიუ იორკში, ლონდონში, პარიზში, აქვთ თავიანთი ფესტივალები, ვირტუოზების ორკესტრში დაკვრა მათთვის ყველაზე დიდი პატივია. ფესტივალის მუშაობის გეგმები ისაკაძე ხელმძღვანელობს.

ექვსი დღის განმავლობაში, ფესტივალის ფარგლებში, ბათუმის ისეთი ცნობილი ხელოვანები ეწვივნენ, როგორებიც არიან გერმანელი


დირიჟორი იუსტუს ფრანცი, ფრანგი პიანისტი ალექსეი ლიუბიმიოვი, მსოფლიოში ცნობილი ავსტრიელი დირიჟორი თომას როზენერი, შვედი ჩელისტი იან-ერიკ გუსტაფსონი, ფინელი პიანისტი ჟანე მერტალინი. ფესტივალის პირველი დღე მთლიანად მოცარტის ნაწარმოებზე დაეთმო, ბოლო დღე კი მთლიანად ბეთჰოვენისას.

„ღამის სერენადები“ აფხაზეთში ქალაქ ბიჭვინთაში დაარსებული ფესტივალის მესამე წელია აღდგა. საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის „ღამის სერენადები“ ლიანა ისაკაძემ 1982 წელს დააფუძნა. „ღამის სერენადები“ 9 წლის განმავლობაში უწყვეტად იმართებოდა ბიჭვინთაში, სადაც მსოფლიოს წამყვანი მუსიკოსები იკრიბებოდნენ. ფესტივალის დამფუძნებელი ლიანა ისაკაძე დღეს დიდი წარმატებით მოღვაწეობს საზღვარგარეთ, თუმცა ის ყოველთვის ცდილობს საინტერესო პროგრამით ჩამოვიდეს საქართველოში და კლასიკური მუსიკის მოყვარული საზოგადოება სასიამოვნო სიურპრიზებით გაანებნოს.

პირველდანი ყველა მუსიკალური განათლება ლიანა ისაკაძემ თბილისის ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში მიიღო. 10 წლის ასაკში რესპუბლიკის ფესტივალის ლაურეატი გახდა, სადაც პირველი პრემია დაიმსახურა, ამიერკავკასიის მუსიკის შემსრულებელთა პირველი კონკურსის პრემია მცირეწლოვანობის გამო არ ერგო, 1961 წელს საკავშირო კონკურსის ლაურეატი და მეორე პრემიის მფლობელი გახდა. ლიანა ისაკაძემ პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის კონსერვატორია დაამთავრა და უკვე ათეული წლებია მოსკოვის ფილარმონიის სოლისტია. ქართველი მევიოლინე მუსიკის შემსრულებელთა მრავალი საერთაშორისო გამარჯვება მე-10 გვერდზე

თარბულად: 5. სახე-ბიანი თხელი ბადურა ქსოვილი; 6. სახელმწიფო ევროპაში; 8. ფრანგული ავტომობილი; 9. ზოგი ხეხილის ნაყოფის მაგარი თესლი; 10. საზაფხულო საძოვარი მთაში; 11. ქალის სამოსელი; 13. თვითმფრინვიდან გადმოსასტომი მოწყობილობა; 14. მდინარე კახეთში; 16. „ოტელოს“ პერსონაჟი; 18. ლუნის საპირისპირო; 20. მამის ურჩი ვაჟი ბერძნულ მითოლოგიაში; 21. საქალაქო ტრანსპორტი.

შეუღალა: 1. სახის მიმიკის მოშლა; 2. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 3. გამანადგურებელი ქარიშხალი წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში; 4. კავკასიური მინერალური წყალი; 5. იატაკის საცხი; 7. ქალბატონი ესპანეთში; 11. ბანქო; 12. წყლისპირა რბილმერქნიანი ხე; 13. ჯგუფური გასვლა ქალაქგარეთ საქმელ-სასმელით; 14. სახელმწიფო აზიაში; 15. ზღვის ყაჩაღი, მეკობრე; 17. უღაბნოს „ხო-მდლი“; 19. ქალაქის თავი.



ზინ მიიღებს ფოლკლორის ეროვნულ პრემიას?

ეკა ირემაშვილი

ვინ მიიღებს ფოლკლორის ეროვნულ პრემიას? ამ კითხვაზე პასუხი ქართულ საზოგადოებას უახლოეს მომავალში ეცოდინება. საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა ისევ გამოაცხადა კონკურსის ფოლკლორის ეროვნულ პრემიაზე დაწესებულ ნომინაციებში საუკეთესოს გამოსავლენად.

— მრავალსაუკუნოვანი ქართული ფოლკლორი, — ქართველი ერის შემოქმედებით გენიის ნაყოფი, — არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო კულტურის კუთვნილებაა. საუკუნეთა დენაში იქმნებოდა ქართული ფოლკლორის უნიკალური ნიმუშები, უსახელო დიდოსტატები თავიანთ განუმეორებელ შემოქმედებას თაობიდან თაობას გადასცემდნენ საპატრონოდ, მოსავლელად და სამარადისოდ გასაფრთხილებლად. XIX საუკუნეში თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს არ აქვს უფლება, არ გამოარჩიოს, შესაფერისად არ დააფასოს და საზოგადოებისათვის თვალსაჩინო არ გახადოს თანამედროვეთა ღვაწლი და დამსახურება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ოდითგანვე იცოდნენ კარგი მელექსის, მომღერლის, მოცეკვავის, საერთოდ, ხალხური სიბრძნის შემოქმედთა ფასი, სათანადო პატივს მიაგებდნენ და ერის გამძლე მესხიერებაში არასოდეს იშლებოდა მა-

თი სახელები. ქართული ფოლკლორის სფეროში დღემდე რამდენიმე გამორჩეული, განსაკუთრებული ჯილდო, წოდება, სახელობითი პრემია, მათი ნამუშავეკის წარმოსაჩენად და დასაფასებლად, არ არსებულა. ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი,



ფოლკლორის მხარდამჭერი ნაციონალური საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში, ანესებს „ფოლკლორის ეროვნულ პრემიას“ და „ფოლკლორის სპეციალურ ეროვნულ პრემიას“, — ამბობენ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში. „ფოლკლორის ეროვნულ პრემიას“ (შემდგომში-პრემიას) ანიჭებს საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან შექმნილი „ფოლკლორის ეროვნული პრემიის“ მიმნიჭებელი კომისია რვა კაცის შემადგენლობით.

ახალი თარბა 9 სექტემბრისთვის

ყველა გაითვალისწინეთ! ნარმატებადი დღეა

პარკი — მშვენიერი დღეა, ყველა საქმე გამოგლით. **ქარა** — ფული გაქვთ, პრობლემას ადვილად გადაჭრით. **მუშაობა** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგადი. **ქირა** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **ლოტი** — ახალი სამსახური მოგეწონებათ, ფულიც გაქვთ. **ქალწილი** — არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **სასწრაფი** — თქვენი შეყვარებული გიბრაზდებათ, რამე მოიფიქრეთ. **ღირსი** — გადაღობი ხართ, დასვენება გჭირდებათ. **მუშაობა** — ფულს შოულობთ, ნაგავიანი გეყოფილი ხართ. **მისი** — მშვენიერ ფორმაში ხართ, ყველას თვალში ხვდებით. **მარტო** — მთლიანობაში პარმონიული დღეა, ყველაფერს აგვარებთ. **თავისუფალი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **გისხევათ ბენიქსი დღეს!**